60 წლისთავისადმი მიძღვნილი გათამაშება
თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით

დაიწყო რესპუბლიკის უძლიერესი გუნდების ტურნირი ფეხბურთში, რომელიც მიძღვნილია სამამულო ფეხბურთის 60 წლისთვისადმი. გათამაშების გახსნა წილად ხვდათ თბილისის გუნდებს – "დინამოსა" და სკვო–ს.

თუ ვილაპარაკებთ "დინამოს" მონაწილეობაზე ტურნირში, პირველ ყოვლისა, მისი დანიშნულებაა ის, რომ "ბ" კლასის კოლექტივებმა და საქართველოს პირველობაში მონაწილე საუკეთესო გუნდებმა ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში აიმაღლონ კლასი, ისწავლონ მათგან, გადმოიღონ გამოცდილება.

მართალია, დინამოელებს აკლდათ რამდენიმე ძირითადი მოთამაშე, მაგრამ იმ შემადგენლობიდან, რომელიც მინდორზე იყო (კვაჭაძე; ჩოხელი, სიჭინავა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, რამიშვილი, დალაქიანი, ხუნდაძე, მელაშვილი, ლეჟავა, მესხი), არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება ასეთი სუსტი თამაში.

არმიელთა გუნდმა ენერგიულად და მონდომებით ითამაშა. გამოიყენა მოწინააღმდეგის სისუსტეები (ასეთები მრავლად იყო) და დამსახურებულად მოიგო კიდეც შეხვედრა. ბურთი მეორე ტაიმში იქნა გატანილი 11–მეტრიანი საჯარიმოდან გორეშნევის მიერ.

11 ნოემბერი, 1958 წ.